შემაკავებელი ორდერი - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და მსხვერპლის ინტერესებზე მორგებული გამოძიების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის სამინისტრო იყენებს სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმი უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე შემაკავებელი ორდერის გამოცემას, ხოლო სისხლისსამართლებრივი მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობის ფაქტი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, რა დროსაც ხდება გამოძიების დაწყება.

რა არის შემაკავებელი ორდერი და როდის ხდება მისი გამოცემა?

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მსხვერპლის დაცვის მიზნით და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი 30 დღემდე ვადით.

კანონმდებლობა შემაკავებელი ორდერის გამოცემას ითვალისწინებს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

1. როდესაც ძალადობის ფაქტი ხდება ოჯახის წევრებს შორის;
2. როდესაც ძალადობის ფაქტი ხდება ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით.

ვის აქვს უფლება მოითხოვოს შემაკავებელი ორდერის გამოცემა?

შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

ვინ ითვლება ოჯახის წევრად?

საქართველოს კანონით ,,**ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**“, ასევე სისხლის სამართლის კოდექსით, ოჯახის წევრებად ითვლებიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა?

,,ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

რას მოიცავს ძალადობის თითოეული ფორმა?

- ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;
- ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

- იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;
- სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;
- ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;
- არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე;

რა განსხვავებაა ოჯახში ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულს შორის?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს როგორც „ოჯახში ძალადობას“, ასევე ოჯახურ დანაშაულს. კოდექსის 126[1] მუხლის მიხედვით - ,,ოჯახში ძალადობა“ არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ოჯახური დანაშაული კი ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რიგი დანაშაულების ჩადენას, კერძოდ დანაშაულების, გათვალისწინებული 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133[1], 133[2], 137-ე–141-ე, 143-ე, 144-ე–144[3], 149-ე–151[1], 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე–255[1], 381[1] და 381[2] მუხლებით.

რას ნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით?

„ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“, გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე. ,,გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

„ქალთა მიმართ ძალადობა“ აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

როდის გამოიცემა შემაკავებელი ორდერი?

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღებისას, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით აფასებს ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს და ამ რისკის სიმძიმის მიხედვით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ;
ბ) შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

რისკის სიმძიმის შეფასება ხორციელდება ე.წ. რისკის შეფასების ინსტრუმენტით - შემაკავებელი ორდერის ოქმით. შემაკავებელი ორდერის ოქმით ფასდება რიგი საკითხები, კერძოდ, სპეციალური კითხვარის მეშვეობით გროვდება ინფორმაცია სავარაუდო ძალადობის შესახებ, რომელზეც განხორციელდა გამოძახება ან/და მომართვა, პირადი ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლისა და მოძალადის შესახებ, რისი მეშვეობითაც სრულად ხდება ძალადობის ფაქტის მოკვლევა. სწორედ აღნიშნულის შემდეგ იღებს პოლიციელი გადაწყვეტილებას გამოიცეს თუ არა შემაკავებელი ორდერი.

რისკების შეფასების ინსტრუმენტი ეხმარება სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით

მოახდინონ ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება და მოძალადისგან მოსალოდნელი რისკების უკეთ იდენტიფიცირება, რაც თავის მხრივ პოლიციელს აძლევს სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და განმეორებითი ძალადობის აღკვეთის მიზნით, ეფექტიანი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას.

რას გულისხმობს მონიტორინგის პროცესი?

რისკების შეფასების ინსტრუმენტის საფუძველზე გამოვლენილი რისკის დონის შესაბამისად ხდება გამოცემული შემაკავებელი ორდერით მოძალადისათვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის პროცესის დაგეგმვა. რაც უფრო მაღალია რისკი, მოძალადის კონტროლი არის მით მეტად ინტენსიური. პოლიციის თანამშრომელი, მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციას ახორციელებს მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ასევე შეხვედრების გზით და წინასწარ შეთანხმებული ან შეუთანხმებელი (დაუგეგმავი) ვიზიტებით მათ საცხოვრებელ ადგილზე.

შეიძლება ითქვას, რომ შემაკავებელი ორდერის მიზანი, ოპერატიულ რეაგირებასთან ერთად, არის სამომავლო ძალადობის პრევენცია და ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების უფლებისათვის ხელშეწყობა.

შემაკავებელი ორდერით, მსხვერპლის განმეორებითი ძალადობისგან დაცვის მიზნით, მოძალადეს შესაძლოა განესაზღვროს შემდეგი ვალდებულებები:

ა) მოძალადეს აეკრძალოს იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს;

ბ) მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

გ) მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის, ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

დ) მოძალადეს აეკრძალოს თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობა;

ე) მოძალადეს აეკრძალოს იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობა;

ვ) მოძალადეს შეეზღუდოს იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობა;

ზ) მოძალადეს აეკრძალოს იარაღის შეძენის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვება;

თ) მოძალადეს ჩამოერთვას პირად საკუთრებაში არსებული იარაღი (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო) და იგი იქნეს შენახული კანონით დადგენილი წესით;

ი) მოძალადეს დაუწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა;

კ) მოძალადეს დაეკისროს სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია განმეორებითი ძალადობის თავიდან ასაცილებლად;

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე და 138-ე მუხლებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილით, 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით, 144^1–144^3 და 151-ე მუხლებით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით და 381^1 მუხლით გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში.

შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დარღვევა ანდა მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებებია.

შემაკავებელი ორდერის გასაჩივრება/გაუქმება

გასაჩივრება

მსხვერპლმა ან/და მოძალადემ შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაასაჩივროს მისთვის შემაკავებელი ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში. სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გაუქმების, ნაწილობრივ გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლო, სარჩელს, წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში, თანდართულ მასალებთან ერთად უგზავნის შემაკავებელი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოს, აგრეთვე დაინტერესებულ პირს, რომლის დასაცავადაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი, და აძლევს მათ უფლებას, სარჩელთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და მტკიცებულებები წარადგინონ. მოსამართლე უფლებამოსილია მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს სასამართლოს მიერ საკითხების განხილვას.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელის წარდგენა და ამ მუხლით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედებას, შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში *პოლიცია ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.*

✍ გაუქმება

მხარეთა შერიგებისას, მათ მიერ სასამართლოსათვის/პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის ერთობლივი მიმართვის საფუძველზე შემაკავებელი ორდერების მოქმედება შეიძლება გაუქმდეს მოსამართლის/პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი გადაწყვეტილებით, საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის შედეგად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის ჩადენის საფრთხე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსხვერპლისა და მოძალადის შერიგება არ აფერხებს შემაკავებელი ორდერების გამოცემას და არ იწვევს შემაკავებელი ორდერის მოქმედების გაუქმებას, თუ ჯერ კიდევ არსებობს მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის ჩადენის საფრთხე ან ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი ეწინააღმდეგება მსხვერპლის ოჯახის სხვა წევრთა (განსაკუთრებით – არასრულწლოვნის) ინტერესებს. შესაბამისად, მიუხედავად სუბიექტების პირადი გადაწყვეტილებისა, თუ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ მოხდება ორდერის გაუქმება, *პოლიცია ახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.*

ელექტრონული ზედამხედველობა და მისი დაწესების საფუძველი

2020 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესაძლებლობას, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე, რაც მეტად ეფექტურს ხდის პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის საფუძველზე მოძალადისთვის დაწესებული ვალდებულებების კონტროლს.

ძალადობის განმეორების რისკის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ინტეგრირებული კითხვარის საფუძველზე. ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღება ძალადობის განმეორების რისკის დონე, მოძალადის მიერ წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა, ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტი და სხვა გარემოებები.

ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, რომელიც არ აღემატება 30 დღეს და იგი წარმოადგენს მსხვერპლის დაცვის მიზნით, მოძალადისთვის შემაკავებელი ორდერით დაწესებული შეზღუდვებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ეფექტიან მექანიზმს.

ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში:

- თუ მოძალადის მხრიდან არსებობს ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე (რაც ფასდება შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე);
- და ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე არსებობს მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა.

კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მოძალადეს სხეულზე ელექტრონული სამაჯური უმაგრდება და წესდება ელექტრონული ზედამხედველობა. აღნიშნულის შედეგად, ხდება მოძალადის მხრიდან მსხვერპლთან და წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიებთან მიახლოების რეალურ დროში კონტროლი. მოძალადის ვირტუალურ მონიტორინგს უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112".

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საკითხი ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. პოლიციის მიერ გამოცემული ოქმი, გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

ეს მნიშვნელოვანია!

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას მართალია ახდენს სამართალდამცავი უწყება, თუმცა საქართველოს კანონი ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ასახელებს გარკვეულ სუბიექტებს, რომელთაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან მიმართებით ეკისრებათ გარკვეული როლი, კერძოდ:

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი გამოვლენის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების, არასრულწლოვანთა შემთხვევაში – აგრეთვე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.